საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა / Georgian State Electrosystem

საქართველო, თბილისი 0105, ბარათაშვილის 2, Baratashvili str., Tbilisi 0105, Georgia; ტელ./ფაქსი/Tel/Fax: +995 322 983704; +995 322 510101

6451-07-2-201811131013

N 6451/07
13/11/2018

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

2018 წლის 25 ოქტომბერს სამინისტროში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე გეცნობათ, რომ სს ,,საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა'' ახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტში 110 კვ ეგხ ,,მესტიაჭალა 1,2''-ს მშენებლობის და არსებული ეგხ ,,იფარი-მესტია''-ს რეკონსტრუქციის პროექტის მცირედ კორექტირებას, რაც არ არის დაკავშირებული ექსპლუატაციის პირობების ცვლილებებთან, თუმცა შესაძლოა მოხდეს გარკვეული საკითხების დაზუსტება.

ამავე შეხვედრაზე სამინისტროს მიერ მოთხოვნილ იქნა დამატებითი ინფორმაცია, კერძოდ, პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში და დაზუსტებული პროექტი, რის წარმოდგენაც თქვენი განმარტებით წარმოქმნიდა საჯარო განხილვის გადადების საჭიროებას (იმისათვის, რომ დაინტერესებულ საზოგადოებას და სამინისტროს მიეცეს დამატებით ვადა წარმოდგენილი დოკუმენტის სრულფასოვანი განხილვისათვის).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით სსე-მ უზრუნველყო მხოლოდ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიშის წარმოდგენა (სსე-ს წერილი №6397/07; 8.11.2018), გთხოვთ, პროექტის საჯარო განხილვა ჩანიშნოთ მას შემდეგ, რაც ჩვენს მიერ მოხდება დაზუსტებული პროექტის წარმოდგენა.

პატივისცემით,

დავით თვალაბეიშვილი

მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე

რეაბილიტაციის მმართველი